დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში
წევრ(ებ)ი:
მარიამ კავლელიშვილი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	*სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა*
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	*საჯარო სამართლის იურიდიული პირი*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	*243891507*

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	*ქალაქი ხაშური*
ფაქტობრივი მისამართი	*ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N241*
საფოსტო ინდექსი	*5700*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	*https://skolebi.emis.ge/*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	*khashuri9@mes.gov.ge*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	*0368240957*

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება MES 0 26 0000492561, 28.04.2026წ. - „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“.*
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	*27 და 28 მაისი, 2026წ.*

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების MES 0 26 0000492561, 28.04.2026წ. - ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) გეგმური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა.ბ", „გ.ა", ,,გ.დ", ,,გ.ე", ,,გ.ვ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, რაც მოიცავდა როგორც სასწავლო, ისე დამატებითი სივრცეების შეფასებას. სკოლის მიერ შედგენილი საკანონმდებლო აქტების და მეთოდოლოგიური დოკუმენტების განხილვა წარიმართა მოქმედ რეგულაციებთან, საგანმანათლებლო სტანდარტებთან და ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლის შიდა პოლიტიკის, პერსონალის მართვის, ადამიანის და პროცესების უსაფრთხოების, საინფორმაციო რესურსების ანალიზს, ასევე, მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების განხილვას.

განხორციელდა შეხვედრები და გასაუბრება მშობლებთან, მასწავლებლებთან და პედაგოგებთან, რის საფუძველზეც, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ გაეანალიზებინათ სკოლაში მიმდინარე პროცესები - შეფასდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. საბოლოოდ, მიღებული ინფორმაცია ინტეგრირდა დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
550	458

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ვაჟები) ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ არჩევანს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე აჩერებს და წარმატებით ეუფლება სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებას. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ განვითარებას. სკოლის მიერ სისტემატურად ორგანიზებული შეხვედრები პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან, საინფორმაციო და გაცნობითი ღონისძიებები, აგრეთვე პროფესიული განათლების პოპულარიზაციისკენ მიმართული აქტივობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და პროფესიული არჩევანის ფორმირებაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული გზის გააზრებულად შერჩევას.

აღსანიშნავია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ორგანიზებას უწევს ღონისძიებას სახელწოდებით, „ღიმილის დღე“, რომლის ფარგლებშიც, ხორციელდება წარჩინებული - მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და სხვადასხვა მიმართულებით გამორჩეული მოსწავლეების (წარმატებული) დაჯილდოება სიმბოლური საჩუქრებით. აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, აკადემიური მიღწევების წახალისებისა და პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში. წარმატებული მოსწავლეების საჯარო აღიარება ხელს უწყობს როგორც მათი თვითშეფასებისა და პასუხისმგებლობის ზრდას, ასევე სხვა მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესისა და მაღალი შედეგების მიღწევის სურვილის გაძლიერებას. ამასთანავე, მსგავსი აქტივობები სკოლაში ამკვიდრებს თანამშრომლობის, მხარდაჭერისა კულტურას, რაც დადებით გავლენას ახდენს სასკოლო საზოგადოების ერთიანობასა და მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის სრული რეაბილიტაცია დაახლოებით 10 წლის წინ განხორციელდა, სასკოლო სივრცე დღემდე ინარჩუნებს განახლებულ და კეთილმოწყობილ იერს, რაც ეფექტიანი მართვისა და მუდმივი ზრუნვის შედეგია. სკოლის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურის მოვლას, ჰიგიენური ნორმების დაცვასა და სასწავლო გარემოს უსაფრთხოებისა და კომფორტის უზრუნველყოფას. აღნიშნული გარემო დადებით გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ასევე მოსწავლეთა და პერსონალის განწყობაზე.

სკოლაში რეგულარულად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება სოციალური პასუხისმგებლობის, თანადგომისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში შეგროვებული ფინანსური რესურსები ხმარდება სხვადასხვა სასარგებლო და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საქმიანობას. საქველმოქმედო ღონისძიებებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას, თანაგრძნობისა და სოციალური ღირებულებების დამკვიდრებას, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა პიროვნული და სამოქალაქო განვითარების პროცესში.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული სკოლის თვითშეფასების შედეგებისა და წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საფუძველზე.*
ინდიკატორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა საჭიროებს მკაფიო სტრუქტურირებას და აქტივობების დაზუსტებას. აუცილებელია, თითოეული ღონისძიება განისაზღვროს კონკრეტული ვადის, პასუხისმგებელი პირისა, შეფასების ინდიკატორის და რესურსების მითითებით. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა).*
ინდიკატორი N1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეები უკუკავშირის გათვალისწინებით*	*2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება დაწესებულებას არ განუხორციელებია.*
ინდიკატორი N1.2.2.3	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა*	*სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების დოკუმენტი სკოლას არ აქვს შედგენილი, შესაბამისად, საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი.*
ინდიკატორი N1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების*	

	შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	*ვინაიდან, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები არ აქვს, შესაბამისად, ისინი ვერ იქნება გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*დაწესებულებას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლის ექიმის კაბინეტი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. კერძოდ, სკოლის კაბინეტში არ იყო პულსოქსამეტრი და კისრის ფიქსატორი.*

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლა სრულად არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის - შენობის მეორე სართულზე შშმ პირისთვის გადაადგილება არ არის უზრუნველყოფილი.*
ინდიკატორი N3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/, თუმცა, მასზე განთავსებული დოკუმენტაცია/მონაცემები ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას.*
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	*სკოლის ვებ. გვერდი დაინტერესებულ პირებს არ აწვდის სრულ ინფორმაციას სკოლის შესახებ.მასზე არ არის ასახული ინდიკატორიდ მოთხოვნილი ინფორმაცია.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N4.1.1.3.	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება*	*სკოლას არ აქვს გაფორმებული მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებები.*

ინდიკატორი N4.1.2.1	*სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები*	*მოსწავლის პირველ კლასში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N675, 23.08.2007წ. ბრძანების დანართი N1-ით წარმოდგენილ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას - ჩამონათვალში ფიქსირდება დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	• *დაწესებულებას მიეცა რჩევა სკოლაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმების შესახებ.* • *ვინაიდან, სკოლას ჰყავს მხოლოდ ექთანი, დაწესებულებას მიეცა რჩევა - საშტატო განრიგში ექიმის შტატის განსაზღვრის და დასაქმების თაობაზე.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, ჩატარებული კვლევა (ბიბლიოთეკის შევსების მიზნით მოსწავლეთა გამოკითხვა) ფორმალურ აქტივობად*

		არ დატოვოს და უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული ლიტერატურით ბიბლიოთეკის შევსება, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სასწავლო გარემოს, გაზრდის მოტივაციას და ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას.
ინდიკატორი N3.6.3.2.	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციი გავრცელებას	სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა გამჭირვალობა, უსაფრთხოება და სანდოობა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ინდიკატორი	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა
N1.2.1.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება	**შესრულდა**
N1.2.1.2.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება	**შესრულდა**

N1.2.1.3.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის თვითშეფასების გათვალისწინებით	არ შესრულდა
N1.2.1.4	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შემუშავებულ ერთწლიან სამოქმდო გეგმაში ასახოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	არ შესრულდა
N1.2.2.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები	შესრულდა
N3.1.2.3	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირებისათვის არსებული კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების შესაბამისი ცნობების (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის) არსებობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში	შესრულდა
N3.1.2.4	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილ ვადებში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უზრუნველყოს პერსონალის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.	შესრულდა
N3.4.1.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში: ა. შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან, ბ.მოიპოვოს დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობის მდგრადობის შესახებ	ნაწილობრივ შესრულდა (არ შესრულდა „ა“ პუნქტი“).

N3.5.1.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო რეესტრში დაფიქსირებული და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 448-ე ბრძანებით განსაზღვრულ ჩანაწერი სკოლის მიამართის შესახებ	შესრულდა
N3.5.1.2	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილ ვადებში უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ფართის ცვლილება/გაზრდა	შესრულდა
N3.5.1.3	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის	არ შესრულდა
N3.6.3.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებ. გვერდის ფუნქციონირება	არ შესრულდა
N3.6.3.5	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებ. გვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვა.	არ შესრულდა
N4.1.1.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ყველა მოსწავლის /მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლების გათვალისწინება შინაგანაწესში	შესრულდა
N4.2.1.1	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება	შესრულდა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება) დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-063, 19.12.2025წ.), რომელიც აღწერს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესს. დაწესებულების სტრატეგიული გეგმის (2023-2030 ს.წ.) განხილვამ ცხადყო, რომ მის ფორმირებას წინ უძღოდა SWOT ანალიზი. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფილოსოფია შედგენილი იყო 2023 წელს და როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას გამოიკვეთა, იგეგმება მისი რევიზირება, რომელიც უზრუნველყოფს მის განახლებას, მათ შორის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება/ფორმირებას. ვინაიდან, სკოლას პირველადი ავტორიზაცია 2023 წელს აქვს მინიჭებული, ხოლო, მეთოდოლოგიური დოკუმენტი 2025 წლით თარიღდება, ვერ დგინდება რა სტანდარტებზე და მიდგომებზე დაყრდნობით განხორციელდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2023 წელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო 2023 წლის 20 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N9. სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და სკოლის მისიას შორის კორელაცია იკვეთება, ვინაიდან, სკოლის მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია ფართო და მრავალმხრივი საგანმანათლებლო მიზნების საფუძველზე. აღნიშნული კომპონენტები თავისთავად წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ძირითად მიმართულებებს, რომლის ფარგლებშიც, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ საქმიანობასა და განვითარების პრიორიტეტებს. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები და აქტივობები ბუნებრივად ექცევა მისიისა და ხედვის ფარგლებში. კერძოდ, ნებისმიერი სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებაზე, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზე, ფიზიკური აქტივობების ხელშეწყობაზე ან მოქალაქეობრივი ღირებულებების გაძლიერებაზე, პირდაპირ თანხვედრაში მოდის მისიისა და ხედვის ძირითად პრინციპებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში, ერთსა და იმავე დოკუმენტში გაწერილია 7-წლიანი სამოქმედო გეგმები, რაც სტრატეგიული დაგეგმვისა და საგანმანათლებლო მართვის თანამედროვე პრინციპებთან თანხვედრაში არ არის. სტრატეგიული გეგმა, თავისი არსით, წარმოადგენს გრძელვადიან ხედვასა და განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხოლო სამოქმედო გეგმა უნდა იყოს მოკლევადიანი, მოქნილი და მიმდინარე საჭიროებებსა და შეფასების შედეგებზე მორგებული ინსტრუმენტი. საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანი მართვის პროცესში სამოქმედო გეგმა არ შეიძლება განისაზღვროს მრავალწლიანი პერიოდით, თან, უცვლელი ფორმით, რადგან სკოლის საქმიანობა მუდმივად საჭიროებს შეფასებას, ანალიზსა და გამოწვევებზე რეაგირებას. სწორედ ამიტომ, ***სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველწლიურად, სკოლის თვითშეფასების შედეგებისა და წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების***

ანგარიშის საფუძველზე, რაც სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის შემთხვევაში არ იყო უზრუნველყოფილი (ხარვეზი). ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დოკუმენტი ფორმალურად მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, გაწერილს თვეების შესაბამისად, თუმცა, მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი დაგეგმვისა და მართვის პროცესებს სკოლაში. განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ აქტივობების განხორციელების საჭიროება აღნიშნულია მხოლოდ ფორმულირებით — „საჭიროების შემთხვევაში“ (სშ), რაც არ ქმნის მკაფიოდ განსაზღვრულ ვალდებულებას. ასევე, დოკუმენტში გამოყენებული აღნიშვნა — „გეგმით გათვალისწინებული“ (გგ) — არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას აქტივობის შინაარსის, განხორციელების მექანიზმისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. აღნიშნული ფორმულირება ვერ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ვერ აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება კონკრეტული აქტივობა სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, *წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა საჭიროებს მკაფიო სტრუქტურირებას და აქტივობების დაზუსტებას. აუცილებელია, თითოეული ღონისძიება განისაზღვროს კონკრეტული ვადის, პასუხისმგებელი პირისა, შეფასების ინდიკატორის და რესურსების მითითებით (ხარვეზი).* ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება) დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-063, 19.12.2025წ.);

- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
- 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმა;
- 2023 წლის 20 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება) დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-063, 19.12.2025წ.), რომლის მე -12 მუხლი ასახავს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების ფაზას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის განხორციელებას სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუაში და ბოლოს უნდა ახორციელებდეს. ვინაიდან, სტრატეგიული გეგმის შეფასებისთვის საჭირო პერიოდი არ იყო დამდგარი, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დაადგინონ აღნიშნული. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, სკოლამ ვერ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და სკოლის დირექტორთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ***<u>2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო</u>***

<u>გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება დაწესებულებას არ განუხორციელებია (ხარვეზი)</u> ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

-

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის განხორციელება, არსებული მეთოდოლოგიის საფუძველზე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება) დებულება - დაგეგმილია 2026 წელს. რაც შეეხება *<u>სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგს (დოკუმენტი), სკოლას არ აქვს შედგენილი, შესაბამისად, საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი. (ხარვეზი).</u>* ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

<u>ვინაიდან, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები არ აქვს, შესაბამისად, ისინი ვერ იქნება გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (ხარვეზი)</u> ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება) დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-063, 19.12.2025წ.);
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
- 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   დაწესებულებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრავს თანამშრომელთა იერარქიულ დაქვემდებარებას და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-015, 03.03.2026წ. ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის

თანამშრომელთა თანამდებობრივი სტრუქტურა და მათი ფუნქცია-მოვალეობები". სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტში („სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი სტრუქტურა და მათი ფუნქცია-მოვალეობები") გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია- მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. ასევე, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის სხდომის ოქმებს და დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-015, 03.03.2026წ. ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი სტრუქტურა და მათი ფუნქცია-მოვალეობები";
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის სხდომის ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-064, 22.12.2025წ.), რომლის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რაც დადასტურდა სკოლაში დასაქმებულ პირებთან ჩატარებული გასაუბრების, ასევე, სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-015, 03.03.2026წ. დამტკიცებული დოკუმენტი - ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი სტრუქტურა და მათი ფუნქცია-

მოვალეობები” შეიცავს ინფორმაციას დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-064, 22.12.2025წ.), უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად, პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოსN174/ნ ბრძანებით დამტკიცებული“ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის თანამშრომლებს წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი ცნობები, ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის პედაგოგებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია სულ 42 მასწავლებელი. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც აკმაყოფილებს აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში პერსონალის მართვა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ, განიხილავენ სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად გრძნობენ სკოლის მხარდაჭერას. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებისთვის სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა წამახალისებელი

ღონისძიებები, რომელიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-069, 31.10.2024წ., სკოლის თანამშრომლის წახალისების მიზნით, გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო. კერძოდ, სკოლის სპეციალურ მასწავლებელს გადაეცა ფულადი ჯილდო საქმიანობის მაღალ დონეზე შესრულებისა და სსსმ პირის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციის ხელშეწყობის გამო. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებამ N2-210, 14.11.2025წ. - განსაზღვრა ერთჯერადი ჯილდო მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერისათვის და სკოლის ინფორმაციული მენეჯერისათვის, ასევე, ქართული ენის მასწავლებლისათვის - მუნიციპალური მასშტაბის ღონისძიების ჩატარების გამო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომის შეინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (სკოლის დირექტორის ბრძანება N1-067, 24.12.2025წ.)., რომელიც ადგენს სასკოლო დროს პრევენციულ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში წესრიგს უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები (სულ 2), დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. ***<u>სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა). დაწესებულებას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ხარვეზი).</u>*** პროცესი მიმდინარეა. როგორც ცნობილია, დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა 2023 წელს და წარმოების ფარგლებში, მას უკვე ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის/ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის წერილი MIA 8 20 005 39653 სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N626 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე (28 /02/2020), რომლის თანახმადაც, სკოლას ესაჭიროებოდა მთელი რიგი სავალდებულო

ღონისძიებების განხორციელება. სკოლის განმარტებით, ფინანსების სიმწირის გამო, პრობლემა არ იყო აღმოფხვრილი. იგივე სურათი გამოიკვეთა მიმდინარე წარმოების ფარგლებშიც._რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას - დაწესებულებამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა N003665524, რომლის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (დირექტორის ბრძანება N1- 065, 22.12.2025წ.), რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითად ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს. სკოლაში ექიმის კაბინეტი სრულად არ არის აღჭურვილი და ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. ***<u>კერძოდ, სკოლის კაბინეტში არ იყო პულსოქსამეტრი და კისრის ფიქსატორი. (ხარვეზი). ასევე, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობიდან გამომდინარე (550 მოსწავლე), მნიშვნელოვანია სკოლის ექიმის დასაქმება დაწესებულებაში (რჩევა).</u>*** **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის მანდატურები (სულ 2) უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მონიტორინგს და დარღვევის შემთხვევაში ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

მოსწავლეების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ კლასის დარიგებლები. სკოლის დირექცია ცდილობს გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება. უფრო მწვავე შემთხვევების მართვაში ერთვება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრი გორში, რომელიც ფსიქოლოგიურ, ფსიქიატრიულ და სოციალურ მომსახურებას სთავაზობს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის საშტატო განრიგით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 6 (ექვსი) დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექთანიც ჩართულია მონიტორინგის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი - ხაშურის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით. პედაგოგებთან ინტერვიუირების პროცესში გაირკვა, რომ მათ ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორმა მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საკომუნიკაციო ჯგუფებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. როგორც ცნობილია, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა საკომუნიკაციო ჯგუფებს და შესაბამისად, აუცილებელია ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვა, რაც ხელს უწყობს სკოლებში ციფრული უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებას და დაცულ სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool), უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექციას, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. სკოლის საქმისმწარმოებელთან დაცულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლის ელ. ფოსტაზე წვდომა მხოლოდ დირექტორს და საქმისმწარმოებელს აქვთ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. კერძოდ, სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების მექანიზმები - სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების,, დოკუმენტით. ექსპერტებმა განიხილეს სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა სხდომის ოქმი N3, 28.10.2025წ. და ოქმი N4, 16.12.2025წ., საიდანაც ირკვევა, რომ დღის წესრიგით განსაზღვრული ერთ-ერთი საკითხი იყო სკოლის უსაფრთხოების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის ადმინისტრაციისთვის გაცნობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (სკოლი დირექტორის ბრძანება N1-067, 24.12.2025წ.).;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა N003665524;
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (დირექტორის ბრძანება 1- 065, 22.12.2025წ.);
- საშტატო განრიგი;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა სხდომის ოქმი N3, 28.10.2025წ. და ოქმი N4, 16.12.2025წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით განთავსებულია 17170. 00 კვ.მ - ის ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. იგი 2 (ორი) სართულიანია, საერთო ფართით - 3077.98 კვ.მ. სკოლის შენობის გარდა, ეზოში განთავსებულია საქვაბე. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება - მერხებით, სკამებით, სასწავლო დაფებით აღჭურვილი საკლასო ოთახები სკოლის ორივე სართულზეა განთავსებული. სკოლაში შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი. სკოლის შიდა სპორტული მოედანი სკოლის პირველ სართულზეა განთავსებული ასევე, ბუფეტი. სველი წერტილები ორივე სართულზეა - ცალცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, 1 ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისათვის პირველ სართულზე და 1 სველი წერტილი მასწავლებლებისათვის. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, დაცულია ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობის ორივე სართულზე ფართო და ნათელი საერთო მოხმარების სივრცეებია. მოსასვენებელი სივრცეები მოსწავლეთა დასვენების, ერთმანეთთან კომუნიკაციის და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების ადგილია. სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და პედაგოგებისათვის. საბიბლიოთეკო სივრცე გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის, რაც დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიუირებისას, ასევე, სკოლის სოციალურ ქსელში არსებული ფოტომასალის საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (№ 2-012; 17/01/2025 წ.) დამტკიცდა ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდის მიზნით, ჩაატარა კვლევა, კერძოდ, კვლევის პროცესში გამოიკითხნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები. მათ მიეცათ შესაძლებლობა დაესახელებინათ სასურველი ლიტერატურა, საგნობრივი მიმართულებები, თანამედროვე ავტორები და ის ჟანრები, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებდათ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ჩატარდა და მოსწავლეთა საჭიროებები დეტალურად გამოიკვეთა, საბოლოოდ სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი წიგნების შეძენა. ***<u>დაწესებულებას მიეცა რჩევა, ჩატარებული კვლევა ფორმალურ აქტივობად არ დატოვოს და უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული ლიტერატურით ბიბლიოთეკის შევსება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს</u>***

<u>სასწავლო გარემოს, გაზრდის მოტივაციას და ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას (რჩევა).</u> ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

<u>სკოლა სრულადა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.</u> კერძოდ, არის გარე პანდუსი და პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული საპირფარეშო, რესურსოთახი, სპორტული და სააქტო დარბაზები, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. *<u>მეორე სართულზე გადაადგილება, არ არის შესაძლებელი (არ არის ლიფტი და/ან პანდუსი).</u>* (ხარვეზი) ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დაწესებულება პოზიტიური გარემოთი, სივრცეებით და კაბინეტებით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას. სკოლის მოწესრიგებული გარე პერიმეტრი - ეზო და გამწვანებული გარემო, ხშირად არის სხვადასხვა ღონისძიებების, აქტივობების და პროექტების განხორციელების ადგილი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლის სარგებლობაშია 46 (ორმოცდაექვსი) კომპიუტერი, 8 (რვა) პროექტორი, რომლითაც დაწესებულება წარმართავს სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, სკოლას აქვს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის, საბეჭდი მოწყობილობები (სულ, 8 ცალი). სკოლაში მუდმივი ინტერნეტია (WI-FI). სკოლის საინფორმაციო მენჯერი უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის

ინტერნეტ და კომპიუტერული სისტემებით სარგებლობის წესი და ციფრული განვითარების გეგმა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და სკოლის თანამშრომლებისათვის სასწავლო დღის განმავლობაში. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, ელექტრონული რესურსების შექმნა, გამოყენება, უზრუნველყოფილია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის ჩართულობითა და ხელშეწყობით. ინტერვიუირებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ პორტატული კომპიუტერები, რომლებიც სკოლის სარგებლობაშია, საჭიროებისამებრ, გადაეცემა მასწავლებლებს სკოლის სხვადასხვა კაბინეტში, მათ შორის ბიბლიოთეკაში, დაგეგმილი აქტივობების უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის ინტერნეტ და კომპიუტერული სისტემებით სარგებლობის წესი და ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-010, 15.01.2025წ. და ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. სკოლის საქმისწარმოება და დოკუმენტაციის ორგანიზება გამოირჩევა განსაკუთრებული მოწესრიგებულობით. სკოლის ყველა დოკუმენტი სისტემატიზებულია და დაცულია შესაბამის საქაღალდეებსა და არქივებში. დოკუმენტაციის წარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროში არსებული ნორმატიული აქტებისა და სკოლის შიდა რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეები სრულადაა დაკომპლექტებული და მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პირად მონაცემებს, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, პროფესიული განვითარების ამსახველ მასალებს, სერტიფიკატებს და სხვა საჭირო ინფორმაციას. ანალოგიურად, სრულყოფილად არის ორგანიზებული მოსწავლეთა პირადი საქმეებიც. აღნიშნული დოკუმენტები ინახება კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის პრინციპების სრული დაცვით.

საქმისწარმოების მაღალი ხარისხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის ეფექტიან ფუნქციონირებაში, ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან მართვას. დოკუმენტაციის მოწესრიგებული სისტემა წარმოადგენს სკოლის ინსტიტუციური განვითარების, ორგანიზაციული კულტურისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის -,,eflow”-ის მეშვეობით. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: khashuri9@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ** მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-010, 15.01.2025წ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/, თუმცა, მასზე განთავსებული დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას (ხარვეზი) ვებ. გვერდზე განთავსებულია მხოლოდ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე, დაწესებულების სტრუქტურა. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც, რომელსაც აქტიურად იყენებს საკომუნიკაციოდ - მასზე წარმოდგენილი სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია და ფოტომასალა, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. როგორც ინტერვიუირებისას გაირკვა, სკოლის თანამშრომლები იყენებენ მშობლებთან კომიუნიკაციისას სოციალური ქსელების დახურულ ჯგუფებს, რათა მშობლებისთვის გაზიარებულ იქნას სკოლის მართვასთან თუ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება კომუნიკაციის

სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. *<u>სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა გამჭირვალობა, უსაფრთხოება და სანდოობა.</u>* **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ინტერვიურებისას, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე, სოციალური ქსელში და ელექტრონულ ფოსტით და მიღებული უკუკავშირი სკოლისთვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა, თუმცა, როგორც აღინიშნა, ვებ. გვერდი არ არის ინფორმატიული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

<u>სკოლის ვებ. გვერდი დაინტერესებულ პირებს არ აწვდის სრულ ინფორმაციას სკოლის შესახებ - მასზე ასახულია მხოლოდ დაწესებულების ფილოსოფია და სტრუქტურა. ვებ გვერდი არ შეიცავს ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმების, მხარდამჭერი სერვისების და სკოლის ფინანსური მდგარადობის შესახებ. აგრეთვე, ინსტრუქციას ჩარიცხვის პროცედურების თაობაზე.</u> (ხარვეზი). მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ უზრუნველყო ვებ. გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსება, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას დაინტერესებული პირების ინტერესები. **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის N9 საჯარო სკოლას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი. მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები, რომელთა გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლის დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. მკაცრად რეგულირდება შენობაში შესვლა, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, შესაბამისად, შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რეგულაციები, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტების შინაარსის თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციის გაზიარებას მოსწავლეებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

<u>**სკოლას არ აქვს გაფორმებული მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებები.**</u> ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ მშობელთან გაფორმებული შეთანხმების ნიმუში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული შეთანხმების ნიმუში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   შინაგანაწესით განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, <u>*მოსწავლის პირველ კლასში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა არ შეესებამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N675, 23.08.2007წ. ბრძანების დანართი N1-ით წარმოდგენილ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას - ჩამონათვალში ფიქსირდება დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.*</u> **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

მიუხედავად იმისა, რომ შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის წესი საჭიროებს ცვლილებას, სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების განხილვით. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით ჩარიცხვაზე მოსწავლეს, მის კანონიერ წარმომადგენელს, არ მიუმართავს სკოლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, შინაგანაწესი, გაკვეთილების ცხრილი და სხვა ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

მოსწავლეებმა და მოსწავლეთა მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის დირექტორის #1-069 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის მოსწავლის/მოსწავლეების სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციის წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პროცესები, რეკომენდაციები, მხარდაჭერის ფორმები, პირველკლასელთა ტრანზიციის, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის და ინკლუზიური გარემოს შექმნის მექანიზმები.
აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესით დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, მშობლებთან გასაუბრება. პირველ კლასში მისაღები მოსწავლეებისათვის სკოლა ატარებს გარემოსთან ადაპტაციის მიზნით აქტივობას „სკოლობანა“, რაც პირველ კლასელებს უადვილებს გარემოსთან შეგუების და გაცნობის პროცესს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციის სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სასკოლო საზოგადოებისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე დამრიგებლისგან და შესაბამისი საგნის მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას, მათ შორის დამატებითი გაკვეთილის სახით და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის გაუმჯობესება, სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა. ასევე, მოსწავლეებმა და მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა აქტიურად მუშაობს დამატებითი სერვისების განვითარებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება. სკოლის ადმინისტრაციის მიერ, სკოლის ეზოში მოწყობილია სპეციალური სარეკრეაციო, დასასვენებელი სივრცე, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილებს შორის განიტვირთონ. თუმცა მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გარდა სკოლაში არსებული კვების ობიექტისა, სურვილი აქვთ სკოლის შენობაში იყოს კაფეტერია. თვითმმართველობის წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ისტორიის კლუბი, ასევე მათემატიკის მოყვარულთა კლუბი, STEAM კლუბი. მოსწავლეებმა ისაუბრეს მათ მიერ ჩატარებულ აქტივობებსა და საქველმოქმედო აქციებზე. კერძოდ, სკოლის თვითმმართველობის წევრებმა მოსწავლეებს გააცნეს ინფორმაცია „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ, მათივე ინიციატივით და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დამზადდა საინფორმაციო ბროშურები და ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეებმა შექმნეს ვიდეო რგოლი. მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით, სკოლის თვითმმართველობის წევრებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ ინფორმაცია და წესები, ასევე სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს გააცნეს სკოლის შინაგანაწესი. დაწესებულებამ არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით წარმოადგინა კლუბების სამოქმედო გეგმა, ჩატარებული აქტივობების/ღონისძიებების ჩამონათვალი და ამსახველი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა შეფასების ანალიზისა დასადგენად, სკოლამ ჩაატარა მოსწავლეთა კვლევა, რითაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა წარმატებით ძლევს სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა კმაყოფილების და საჭიროებების დადგენის მიზნით, სკოლამ შეიმუშავა კმაყოფილების კითხვარი, ასევე ჩაატარა გამოკითხვა სკოლის მოსწავლეებს შორის „ შენი საყვარელი წიგნი და ავტორი“, რაც ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებას ემსახურებოდა. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ჩანს, რომ სკოლა აკეთებს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს მოსწალეთა ინტერესები და საჭიროებები და შესაბამისად აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის თვითმმართველობის ანგარიში;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მუდმივად ზრუნავს გააუმჯობესოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს აქტიურ თანამშრომლობაზე ხაშურის რაიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან, სადაც დამრიგებლების ინიცირებით მოსწავლეები ახორციელებენ ვიზიტებს და ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ხშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც ესაუბრებიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მათი პროფესიის მნიშვნელობისა და გამოწვევების შესახებ. სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა, სხვადასხვა სფეროში მომუშავე მათივე კურსდამთავრებულებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. მსგავსი შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ ვეტერინარს, იურისტს, სომელიეს, ჟურნალისტს, ექთანს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება კარიერული დაგეგმვის საკითხზე გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში და პროფესიულ სასწავლებელში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც სკოლა შეთავაზებული სერვისების სისტემური შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის იყენებს. პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსის თანახმად,

განისაზღვრება სკოლაში არსებული დადებითი და სუსტი მხარეები. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის მიერ ჩატარებული კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას 2025 წლის 24 დეკემბრის დირექტორის #1-068 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის წესი. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები,

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმები. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ისგ ჯგუფი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების განმარტებით სკოლაში სწავლობს 16 სსსმ მოსწავლე. დოკუმენტების შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის წესი;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის;
- ისგ ს ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლას მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას ქართული ცეკვის წრეს, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დღის მეორე ნახევარში, სურვილის შემთხვევაში დაეუფლონ ქართულ ცეკვას. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მიმართავენ ხოლმე მასწავლებლებს კონსულტირების მიზნით, რომლებიც უსასყიდლოდ უწევენ დამატებით მომსახურებას. სკოლას არ აქვს ტრანსპორტით მომსახურება, ვინაიდან სკოლის მოსწავლეთა ძირითადი კონტიგენტი დასახლებულია სკოლის მიმდებარე სოფელში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

   სკოლაში მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში ფუნქციონირებდა ცეკვის წრე, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სასკოლო მეცადინეობების დასრულების შემდეგ

ჩაერთონ დამატებით მეცადინეობებში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლაში ვიზიტითა და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დამატებითი/არასავალდებულო მომსახურების გაწევა ხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის გონებრივ, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა უფლება - მოვალეობები განმსაზღვრელი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრება დარაჯის ფუნქციები, რომლის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გაკონტროლება. განრიგის შესაბამისად, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია პერსონალი, რომელიც მორიგეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე; დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა და მათი ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების ბრძანება;
- სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი.11.06.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: